კვირა, 7 მარტი 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

№ 9 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

ობლები

ორი სურათი.

I.

მზემ წამოშალა სხივები
გააქრო ბინდი ღამისა,
ოქროთ აქცია მძივები
ზეცით დანაპკურ ნამისა.
ტურფათ მოირთო ველები
აღელდა, მწვანე ჭალისა,
ჭირისგან განაწვალები
გაცოცხლდა ფიქრი ხვალისა.
გაისმა ჰიმნი ნეტარი
ბუნების ძალთა ძალისა,
მაშვრალთ დაშრიტეს ნექტარი
გზა ჰპოვეს მომავალისა.

II

განვლო დრომ... აღმოსავალი
ბედის წყვდიადმა დასცარა,
ჩაიმსხვრა ხიდი სავალი,
სხივი წყვდიადმა წახარა.
ღადუმდა ველი შვებისა,
დადუმდა ბუკი-ნაღარა,
სიმბოლო ნეტარებისა
აღარ სხივოსნობს, აღარა.
მოწყენილია მიდამო
მთები გამხთარან ჭაღარა,
არ ისმის ხმები საამო
ქვითინებს დიდი... პატარა!

დარიბ ახვლედიანი.

მზის ასული.

(დრამატიული პოემა)

(გაგრძელება*).

პირველი.

სალამი მგოსანს, სალამი ჩანგსა,
მარად გვასმენდეთ საამო ჰანგსა!

მგოსანი.

დაბრძანდით!.. კმარა ძმავ ოხუნჯობა,—
როგორა ცხოვრობთ ჯერ ეგ მითხარით!

მეორე.

ეჰ, ჩვენც მოგვწყინდა მარად მუნჯობა,
დღეებს მივათრევთ ტანჯვა-სიმწარით.
კაცთ არსებობას აზრი აქვს ერთი:
„ბედის ძებნაში დღეთა გალევა“
თუ შესძლო, კიდეც იპოვა ღმერთი,
თუ არა—გესმის კრულვა და წყევა.
ან კი, მითხარით რას წარმოადგენს
ცხოვრება, სულის კუბოთ ქცეული?
იმ ადამიანს რაღა მოალხენს
ვინც რომ გამხდარა ფიქრით ეული?
ვსთქვათ: აწმყოს სრულად დაშორებიხარ,
წარსული ხომ სულ არ გენატრება,
შეჩვეულ აზრებს ამხედრებიხარ,
გონება, სადღაც შორს გეპარება;
საუკუნეებს გინდა გადაწვდე,
მწირ საწუთროსა გაუხსნა გული,
ჯერ არ ნახულის პატრონი გახდე,
არა დარჩეს რა შენთვის ფარული.
და, ამ სურვილსა ვერ კი წვდებოდე,
გელობებოდეს წინ რაღაც ძალა,
ფიქრთა მორევში იკარგებოდე,
გეწვეთებოდეს სულში სამსალა:
რაღა ხარ მაშინ?—მხოლოდ არარა,
აზრ-ჩალესილი, დამარცხებული,
ფილოსოფოსი ჭკუით მასხარა,
შენივ სიბრძნითა მოტყუებული.

მგოსანი.

ჰო, ეგ კი არი... ხშირადაც ჰხდება
საზღვარს შორდება ადამიანი,
სწორედ იმ საშიშ ბადეს მოხვდება
რომელიც არი ხიფათიანი.
ხშირადაც ცდილობ,—სულაც არ გინდა
რომ აიშალო შენ რამე ფიქრი,
მაგრამ ის შენთან თავად მოფრინდა
და... ხელავ სადღაც მიჰქრი და მიჰქრი.

*) იხ. „სალამური“ № 8).

აი, თუნდ ხვედრი აიღეთ ჩემი,—
რაც რომ დრო გადის, თან და თან ვსჭკნები,
სრულად შემბოჭა... თითქმის ყოველ-ღამ
უცნაური რამ მომესმის ხმები.

ქალი.

როგორ? რა ხმები?—გვედრით მითხარით!

(თავისთვის),

ღმერთო რას ვყურობ!.. ისე, როგორც მე...

(ისევ მგოსანს)

სწორედ მაკვირვებთ მაგ საუბარით:—
ნუ თუ ღამით ხმა მოგესმით რამე?
საოცარია!...

მგოსანი.

სიმართლეს ვამბობ,—
დიახ, მომესმის უცხო სიმღერა,
ამ დროს ფიქრითა შორს დავნავარდობ,
თვისკენ მიმაფრენს ბედისა წერა.
ვერ ვურიგდები ჩვეულ ცხოვრებას,
რაც არ მინახავს, მსურს ვნახო ისა,
დავუკავშირდი ახალ ოცნებას,
მიწვევს, მეძახის ასული მზისა!

(სიერთო გაოცება)

პირველი.

ასული მზისა!..

მეორე.

ახ, ნუთუ ისა!?..

ქალი.

ოჰ, ყურნო, ყურნო! რა გესმით ესა?

(ხმა-მაღლა)

ჩანს მოგვლენია ტანჯვის თავდებათ
ასული იგი ჩვენ ოთხთავესა!
მაგრამ ვიწამოთ დიად ღვთაებათ,
ნუ დავიშურებთ თვით სიცოცხლესა:
რომ საიდუმლოს ავხადოთ ფარდა,
მივწვდეთ ჯერ კაცთგან მიუწდომელსა,
დღიდან სიყრმისა რაც შევიყვარეთ,
ძილში თუ ცხადათ ვეტრფით რომელსა.—
ჩვენ ის გვაერთებს!..

მგოსანი.

ტურფა არსებავ!!!

(ამაყად)

მაშ მე მყოლია ჭირთ მოზიარე?...
აწ მზეს ჩავუქრობ უკუღმართ ღმერთებს,
გათავდა რაც რომ ობლათ ვიარე!

პირველი.

ძმავ, ჩვენც თქვენთან ვართ,—მარად დავრჩებით,
ზვარაკად მოგვაქვს გრძნობა და გული,
თუ რომ როგორმე გზათ დამარცხდებით,
ჩვენც თან ჩაგვიტანს ვფიცავ უფსკრული.

ჩვენც გვინდა გავცდეთ ცხოვრების ქაოზს,
განვლოთ ნაპრალნი ჯოჯოხეთისა,
მაღლა მოვექცეთ მაცდურ საწუთროს,
ვპოვოთ მწვერვალი შემეცნებისა.
ვინც შეურიგდა მდორე ცხოვრებას,
სიცოცხლის ფსკერზე ვინც გაიყინა,
ვინც გზნების ალი ჩაუქრო ვნებას,
შუა გზათ შესდგა და... მიიძინა,—
ვაი მათ! სულის უარყვეს ლხინი,
უკან ჩამორჩნენ სოფლის ტრიალსა,
თავის-თავისვე აშინებთ ჩრდილნი,
ბალღამ-შხამიანს სცლიან ფიალსა.
სიცოცხლე მათთვის ტვირათდ გამხდარა,
თვით უპოვიათ ცივი სამარე,
უაზრო სხეულთ ვერ უკრთობს ძილსა
მღელვარ ცხოვრების ზღვა—ოკეანე.
როდესაც ირგვლივ თრთის არე-მარე,
ცხოველ-მყოფელი სხივი კანკალებს,
მათ ეჩვენებათ ამ დროს სამარე,—
ყველა უგონოთ ოხრავს, ვალალებს.
მაგრამ ჩვენ გავცდეთ სულის უკუნეთს,
ქაოზს ასცილდა ლაღი გონება,
მჯერა, ვიპოვით უკვდავების ღმერთს,
გული, მზე-ასულს ჩაეკონება!

მგოსანი

მაშ მეგობრებო ხელი, ხელს მივსცეთ,
შორს გადავკარგოთ სევდით ღონება:
მხოლოდ იქ სუფევს მარადისობა
სად აზრი აზრობს, ლაღობს გონება!

(ქალს)

ტურფა ქმნილებავ! შენ ვით მერცხალი
გაზაფხულისა მახაროზელი.
გვიმღერე ტკბილად... ტრფობისა ალი
იქმნეს ტანჯვის ჟამს ჩვენი მთროზელი.

ქალი (თავისთვის)

ახ, ტრფობა!.. ტრფობა!.. რად მინდა, რადა?..
აქ ველარ ვპოვე,—არც სუფევს ცადა!

მგოსანი (უახლოვდება)

რისთვის ჩაფიქრდით?

ქალი

ნუ მკითხავთ! იქით!
ან ეგ სიტყვები რისთვის ჩამძახე?

(ხელს იშვერს)

ჰოი, სიზმრებო, იმედის ფრთებო
კვლავ დამანახვეთ დამწველი სახე!
ღრუბელთ სამეფოს მოსწყდი ვარსკვლავო,
ძლიერის ვნებით დამაწყდი გულზე,
სულის სამოთხევ, სხივით დამწვავო
მაშინ ჰიმნს შევთხზავ, ჰიმნს სიყვარულზე!

(განცვიფრებული მგოსნის დროს პირდაპირ თვალებ-ში ჩასცქერის, ქალი უცბად შეკრთება და შმაგივით წა-მოიძახებს:)

თვალები!.. სახე!!! (შუბლზე ხელს მიიდებს)
სიზმრად რომ ვნახე
ოჰ ღმერთო ჩემო, ის არი, ისა!..

მგოსანი

რა მოგივიდათ?
გაგვაგებინე შენი ამბავი,
თავს დავდებთ შენთვის და მით დაგიხსნით
თუ კი რამ საქმე შეგემთხვა ავი.
ან რომ ახსენებ ვინ არი ისა?
ზეცის არსია, თუ ამ მიწისა?
ნუ გვტანჯავ იჰვით!.

ქალი.

მაშ ყური მიგდე:—
ოდეს ძარღვებმა დამიწყეს ჩქროლა,
სული აღტყინდა ვნების ალითა,
ნაკვთებს აუტყდათ უჩვევი თრთოლა,
ტრფობა გამოკრთა ცის-ფერ თვალითა:
იმ დღიდან სიზმრად ვხედავდი სახეს
მომხიბლავს. ჩემთვის სანეტაროსა,
დიდების სხივით შუბლ-გაბრწყინვებულს,
ზე-კაცის სადარს, ჭაბუკს საროსა.
იმან წარმტაცა საბრალოს გული,—
ტურფად ნაფეთქი, აკოკრებული,
დღითა და ღამით მაზე ვფიქრობდი,
ვიყავი სულით დაობლებული.
ხშირადაც მახსოვს: გაზაფხულისა
ღამე, როს ველად ჩრდილთ წამოშლიდა,
ფიქრებს ჰმონებდა ეთერი ცისა,
ვარსკვლავი ვარსკვლავს ტკბილად ჰკოცნიდა,
როს მწვანე მოლი ღელავდა ნელა,
ნანას უმღერდა ნაზი ზეფირი,
სხივად ესხმოდა ციცინათელა,—
შორის ტყიდანა მოჰკვნესდა სირი,
ძილს ვეძლევოდი ყვავილთა შორის,
ძალად ვიწვევდი ნეტარ სიზმარსა,
მსურდა დანახვა, სულისა სწორის,
მთლად ატალღებულს, მოუსვენარსა.
მაგრამ თუ რამ ხმა ძილს გამიკრთობდა,
ჩემ სათაყვანოს ველარ ვნახავდი,
გულისა ჩანგი სიმთ ამიწყობდა,
მწარე სიმღერით ჰაერსა ვსძრავდი.
სიმღერა იგი, სულის დამტყვევად
მდინარის ჰანგებს უერთდებოდა,
ხან ინთქებოდა შორს, ცაში წყდება,
ხან ძალთა-ძალებს ევედრებოდა.

შემდეგ განვლო დრომ... ეჰ რად ვიგონებ,—
აწ დაგივიწყებ ძველო სიმღერავ!..

მგოსანი.

გვიამბე ტურფავ... ნუ დაგვალონებ!

ქალი (აღტაცებული).

მე ვმზერ იმ თვალებს. იმ სახეს ვხედავ!—
ფრთები აიწყვე შვებავ გულისა,
უკვდავებისა შევსვი ნექტარი,
ვპოვე სალარო სიყვარულისა,
ოცნების ვპოვე მე მეგობარი!..

მგოსანი.

მითხარ ვინ არი?

ქალი.

დილის მზის ბარი,
განგების ძალით მოვლინებული,
ამიერიდან, უკუნისამდე
ჩემს არსებაში ღამკვიდრებული.

მგოსანი.

მაინც ვინ არი?..

ქალი.

წუთს ნუ მიმწარებთ! —
დე ნეტარებით სული იწვოდეს:
გულში დაფარული რამ საუნჯესა
კაცი სხვა ვინმეს გაუმხელს ოდეს—
ფასს დაუკარგავს... სჯობს გულშივ დარჩეს
რაც საზოგადოთ ძნელად ითქმოდეს.

მგოსანი.

ხშირად გხედავდით, მაგრამ მახსოვს კი
არრა მსმენია თქვენგან ამ გვარი;
გემუდარები, მითხრა ყოველი,
ჩემს განცვიფრებას მისცე საზღვარი.
ან ეგებ იქვი რამ გებადებათ,
აღარ გგონივართ მე კაცი მტკიცე?

ქალი.

ცილისწამება არ გეკადრებათ,—
გეტყვი... ოჰ, არა!..ჯერ შემომფიცე...
(ამ დროს ის ორნი გვერდის კარებიდან გადიან. მგოსანი მაღალ ხელს აშვერს და ჭვეტავს:)

მგოსანი.

ვფიცავ მე ჩემსა იდუმალ ზრახვებს,
გულის სიღრმეში ჩასვენებულთა,
ვფიცავ საყვარელ ზეციურ ჰანგებს
სულის ნუგეშად მოვლინებულთა.
ვფიცავ რუსთველსა, გიოტეს, შექსპირს,
ბაირონს—უშრეტ ცეცხლ-მოდებულსა,
ჰომეროსს, ესხილს, მასთან შილლერსა
პარნასის მთაზე განსვენებულსა.
ვფიცავ პუშკინის გრძნეულებასა,
ლერმონტოვისა ვფიცავ სევდასა,
ვფიცავ ტოლსტოის ჯერედ თბილ ცხედარს,
მის სიამაყეს და შორს ხედვასა.
ვფიცავ „მზე-ასულს“ ჩემ ფიქრთა კანდელს,
ვისაც დღე-მარად მე შევღაღადებ,
ვფიცავ მომავალ პირველ განსაცდელს,—
არ გავაცხადებ!..

ქალი (ორივე ხელებს მისკენ იშვერს).

—იმედის სხივო!!!

(მგოსანი შეკრთება და განზე გადგება).

ოჰ, არა! . აბა კვლავ დამაცქერდი?

(მგოსანს უახლოვდება, ომის კულულებზე ეხება და ორნ თვალებში ჩასცქერის).

ჰო, ის თვალები!.. ის ტურფა სახე!..

მგოსანი.

როგორ?..

ქალი.

ახ, ნეტა რად გაგიკვირდა?—
მობრუნდი ჩემსკენ... მაჩვენე სახე!..
თქვენ ის ხართ, ისა! ბავშვობიდანვე
ვისაც ფიქრებით შევქვითინებდი...

მგოსანი.

ნუ თუ? რა მესმის ჰოი განგებავ!—
აბა მე ამას ვით ვიფიქრებდი?
მაშ გული გულსა!—და ორივე კი
ტარიგათ ვუძღვნათ მზისა ასულსა!
მომეცი ხელი!..

(მგოსანი და ქალი წაიწევიან ერთ-ურთისკენ ჩასაჩხეფად, ამ დროს კარი იღება და ამხანაგები შემოდიან).

პირველი.

სულისა სწორნო! მხოლოდ ბაასით
მერწმუნეთ, საქმე აღარ კეთდება,
შუა ღამისა დრო გადასულა,
ცის ჰორიზონტზე რიჟრაჟი ჭკრთება.
სანამ მზის სხივი ღამეს გააქრობს,
აგალობდება ჩიტუნა ტკბილად,
ჩვენ გავიპაროთ ამ ადგილიდან,
სადარაჯონი დავაგდოთ ფრთხილად

მგოსანი.

სრულად გემხრობი!—მაშ მოვემზადოთ,—
გული მზე-ასულს, ფიქრიც მას ჰქონდეს,
ჩვენის ძმობისა არ იქმნეს ღირსი
მისთვის სიკვდილსა ვინც დაულონდეს!
ვის რად გვჭირია მკვდარი ცხოვრება?—
ცხოვრება, ლტოლვამ უნდა არწიოს,
მომყეთ!—შევიპყრათ თვით უკვდავება,
შავი სიკვდილი სიცოცხლემ სძლიოს!
იქ ამოვკიდოთ შვების სიმღერა
სადაც გუზგუზებს მაშვდალთა კერა!..

ფ ა რ დ ა.

ნ. ჩხიკვაძე.

(შემდეგი იქნება)

ცისკრის სიყვარული.

(დასასრული. იხ. „სალ" № 8).

ჩემს მასწავლებელს ერთათ ერთი ქალის მეტი არა გააჩნდა რა. მშვენიერი და მომხიბლავი იყო ბერტა (ასე ერქვა იმ ქალს) ამ შემთხვევაში თვით ბუნებას გამოეჩინა შემოქმედების გენია. სულ თხუთმეტი წლისა იყო. დილის ნამივით ჰკრთოდა მის ბაგეზე უმწიკვლო ღიმილი, ვარსკვლავთა კრთოლვას მიაგავდა მისი სიცილი. ერთი სიტყვით ცით მოვლენილი სილამაზე იყო ბევრ ახალგაზრდა მხატვარ მოქანდაკეთ რჩებოდათ მაზე თვალი, მაგრამ ის ხომ ბავშვი იყო.

ერთ დღეს მოვიდა ის ჩემთან სამუშაო ოთახში, მისი თვალები მზესავით ანათებდენ, არ ვიცი მომეჩვენა თუ ნამდვილად იყო, მხოლოდ მე ცრემლები შევამჩნიე მის თვალებში. მე დასვრილი ხელი გაუწოდე მანაც ჩამომართო მისი პატარა ხელი, შეციებულივით თრთოდა. მთელი არსებით თრთოდა ბერტა როგორც შველის ნუკრი. სისხამ დილისას. ბევრი ვილაპარაკეთ, ყველა ჩემ კითხვაზე ლაკონიურ პასუხს მაძლევდა და თვალებს შორს სივრცეში აშტერებდა ალბად უნდოდა ცრემლები დაემალა.

— ოთარ! ვისია ეს სურათი, დამეკითხა ის მთთოლვარე ხმით, რაღაც იდუმალი, რაღაც გაუბედავი, მაისტიური იხატებოდა იმ ხმაში, თითქო ჩემგან განკითხვას ელისო.

— ჩემო კარგო! ეს ერთი ნაცნობი ქალის სურათია, ხომ იცი რომ ბოლოს დროს მე ბევრი მიკვეთენ სამშობლოდან სამუშაოს..

— არა ის უბრალო ქალის სურათი არ არის, თქვენვე გრძნობთ, რომ სტყუით არა ოთარ! გამაწყვეტია საუბარი.

— რაღა დავმალო მიუგე მე ეს სურათი იმ ქალისა არის, რომელიც შორს დავტოვე სამშობლოში, მაზე ფიქრი საშინლად ქეჯნის სულს, ღრღნის, ვით საფლავის ჭია.

— მეც ვიცოდი, განა შეიძლება ადამიანმა ასეთი გზნებით დახატოს, სხვისი ვისმესი სურათი, თქვენ უკვდავ ჰყავით თქვენი სატრფო, ბედნიერი ყოფილა საქართველო თუ კი მისთანა ქალები ამშვენებენ მის ბუნებას, სევდიანად წარმოსთქვა მან და ხმამ კანკალი დაუწყო, თვალებზე უფრო მოადგა ცრემლები, ფეხ აკრეფით ის გავიდა სამუშაო ოთახიდან, ჩემი გამომშვიდობებაც კი დააივიწყდა.

ამ დღის შემდეგ მე ვატყობდი, რომ ის თანდათან ხმებოდა დნებოდა. რაღაც საშინელს ინახავდა გულში, მარხავდა სევდას, მაგრამ რამ გამოიწვია ეს სევდა? ან ვიზე იყო? არც მე არც სხვა ვინმემ არ იცოდა. მისი ლმობიერი თვალები, თითქო უკვდავმა რაფაელმა მისგან გადმოიღო მადონნას თვალებიო, უფრო დაღრმავდა და საშინელების აჩრდი მალი 'ალ ჰკრთებოდა ზედ ბერტამ სიმღერაც იცოდა, ჩვენ რომ გონდოლით გავისეირნებდით ტბაზე ის ყოველთვის სდუმდა, მაგრამ როდესაც არ დააყენებდენ, შეუჩდებოდენ ისეთ ნაღვლიან სიმღერას დაიწყებდა, თითქო სურს რაც ნაღველი სტანჯავს უნდა გადმოანთხიოსო, რომ გეგონებოდათ სადაც არის ტალღებიც მოჰყვებიან ქვითინსაო. მის სულს არ ახარებდა ბუნების მშვენერება, თურმე ყოველთვის არ ყოფილა ბუნება ნავთსაყუდელი სევდიანთათვის.

— რისთვის არის შვილო შენ რომ ყოველთვის მხიარული იყავი ეხლა რომ მოგიწყენია, თავს შემოგევლოს მამა, ხომ არა გტკივა რა? თორემ რა არის ეს ნაღვლიანი სახე და მჭვუნვარე თვალები გიყურებ, გიყურებ და მინდა მეც ვიტირო. შვილო რამ დაადნო შენი უმანკო სახე ეს სევდის ბეჭედი დედა თუ გაგონდება ის ხომ დიდიხანია დავმარხეთ ცრემლების ფრქვევით ამბობდენ მამა და ბებერ მგელივით დაიწყებდა ზუილს.

— არაფერი მამილო, ავადა ვარ და მალე გაივლის, მაგრამ მოგვშორდებოდა თუ არა მამა ისე აკვნესებდა ქიანურს... ისე აკვნესებდა, რომ თუმცა არ მინდოდა, მაგრამ ცრემლებს ვერ შევიმაგრებდი.

ასე გაგძელდა დიდხანს მე ბერტა თითქოს არ მელაპარაკებოდა მას უნდოდა ჩემგან ყოველთვის შორს ყოფილიყო. მე ვერ გამეგო რით ვიყავი დამნაშავე, ან რად მივაყენე ამდენი ტანჯვა.

ბუმბერაზი ამაყი სული იმალებოდა პატარა ტანში.

ერთხელ სეირნობიდან დავბრუნდით, რადგან გონდოლა არ გვიქირავებია და საკუთარი ნავით დავცურავდით მე ვნაობდი და ძლიერაც დავიღალე ბერტაც ჩვენთან იყო იმ საღამოს, მაგრამ ჩვეულებრივად სდუმდა, ეტყობოდა რომ შორს დაჰქროდა ოცნებით და მოკვეთილი ცის წიაღით ოცნება მიწაზე დანარცხებული საშინლად სტანჯავდა მას. მამამ კიდევ უსაყვედურა იმ ღამეს რად ხარ სევდიანიო.

ბერტა ჩაეხვია მამას ცრემლებით მორწყო მისი გამხდარი სახე და ეფიცებოდა აწი არ ვიქნები ავად, აწი არ ვიქნები სევდიანიო.

დაღლილ დაქანცული ჩავწექი ლოგინში, მაგრამ არ დამეძინა. საათმა თორმეტი დაჰკრა მე კიდევ მეღვიძა და შორს სამშობლოში დავჰქროდი ფიქრით, წინ მედგა სატრფოს აჩრდილი ჩემგან სულ ჩადგმული,

რაღაცას ველაპარაკებოდი ისე გამიტაცა ოცნებამ რომ უძილოდ მესიზმრა სიზმრები. წყნარი ღამე იყო, მოკრიალებულ ცაზე, (იტალიაში თითქმის ყოველთვის ცა ვერცხლის ფერია) მთვარე უკვდავი, მოხეტიალე გზას განაგრძობდა. ვარსკვლავები ხალვით გაკვროდა ცას და ზღაპრულ სანახაობას სდებდა. პირველი თოვლის ფითქვივით თეთრი ღრუბელი ცის გუმბათზე დახეტიალობდა. ღამის ზეფირი ნელად არხევდა აკაციებს და ლიმონის ხეთ გრძნეულ სურნელებით ატკბობდა არე მარეს აპენინები ისევ მდუმარედ სდარაჯობდენ სიცოცხლის საზღვარს. გარინდებული მწუხარებაში იდგენ. კაეშნიანი ბინდი ტბას ეამბორებოდა. მთვარის სხივები ოთახში ჭკრთოდენ, კედელზე აჩრდილებივით დაბარბაცებდენ და მხატვრის ოცნება ხომ კიდევ უფრო შლიდა ფრთებს და ვინ იცის სად არ მივყავდი ფიქრს... მაგრამ მალე დუმილი დაირღვა და რაღაც სევდიანი ხმა შემოესმა, ვიფიქრე მთვარის გრძნეულ სხივთა მუსიკა თუ არის მეთქი... მაგრამ თანდათან გარკვევით ისმოდა ხმა, აშკარა იყო ვიღაც მღეროდა, ნაღვლიანი ხმა ნახევრად ველური საიდუმლოებაში ახვევდა ხეივანს.

— ვინ არის? გავიფიქრე, ამ შუაღამისას ანგელოზები ხომ არ ჩამოვიდენ ციდან, რა მშვენიერად უკრავს ვიღაცა არის... ხმა თანდათან ახლოს ისმოდა აშკარა იყო, რომ ბერტა უკრავდა ჭიანურზე. მე შევნიშნე, რომ ის თანდათან უახლოვდებოდა ჩემ ოთახს. მთვარის შუქზე მთების ფერიას წააგავდა ბერტა. იტალიაში, მახსოვს. არის ერთი გამოჩენილი მხატვრის სურათი „სულამიტი". მხატვარს სწორედ ის მომენტი აუღია, როცა სატრფოს სანახავათ მიდის სულამიტი და იერუსალიმის ასულთ აფიცებს არ გინახავთ ჩემი სატრფოვო, მე გულში ჩამრჩა ეს სურათი. ძლიერ წააგავდა მას ეხლა ბერტა, ის თანდათან უახლოვდებოდა ჩემ ოთახს მე თვალს ვადევნებდი, სული გავკმიდე.. ის სულ ახლოს მოვიდა, სევდის ოკეანე ღელავდა მის თვალებში, ვნებით ძგერდა მისი გული, მე შორიდან მესმოდა მისი პატარა გულის ხმაურობა. ედემიდან ლტოლვილ ქერუბიმს წააგავდა ბერტა. ის ეხლა ჭიანურზე აღარ უკრავდა, მოვიდა ახლოს დიდხანს იდგა ფანჯარასთან

— სძინავს, სძინავს, ვინ იცის ეხლა სიზმარში თავის სატრფოს ხედავს? დაე იძინოს სევდიანად ამოიგმინა და წავიდა ისევ დაუკრა ჭიანურზე ისევ ის სევდიანი სამარის ხმები: ოჰ ღმერთო, რა არ ისმოდა მაშინ იმ ხმებში. ჯალათს მოჰკლავდა, მოხიბლავდა ჰანგი ველური, ჯალათი დაიწვებოდა ველურ ექტაზში. დიდხანს იყო ისე ბერტა ჩემთვის. აშკარა იყო რაზედაც ნაღვლობდა ბერტა, ჩემი იქ დგომა შეუძლებელი იყო, ამას გარდა სახლიდანაც მწერდენ, რომ დავბრუნებულიყავი. მეორე დღეს შევკარი ბარგი, მასწავლებელს დავეთხოვე.

— მშვიდობით, ჩემო კარგო, შენ პატივისცემას თავის დღეში არ დავივიწყებ უთხარი ბერტას, მაგრამ მან მოინდომა ჩემი სადგურამდე გაცილება. გზაშიც სდუმდა, თითქო დუმილმა მოაჯადოვაო, მაგრამ მისი თვალები ვერ მალავდენ საშინელების ქარიშხალს, მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ უძლურად ვგრძნობდი თავს. ასე მომყვა ის სადგურამდე სხვა ჩვენიანები არავინ ყოფილან მე გამოვემშვიდობე მინდოდა მეკოცნა, მანაც არ დამიშალა და ჩვენი ტუჩები შეერთდენ. მზისგან გახურებული ადრიატიკის ზღვა არ იქნებოდა ისე ცხელი, როგორც მისი წიაღი, მზისგან გაცხელებული უდაბნოს ქვიშა არ იქნებოდა ისე ცხელი, როგორც მისი პატარა ტუჩები. სახეს სწვავდა მისი სუნთქვა, თითქო გულში ვნების ვულკანი სდუღდა, მეც დაუკოცნე, ხოლმე ტუჩები, მაგრამ არაფერი მიგრძვნია, დაიღუპოს, წყეულიმც იყოს მისთანა ამბატვარი.

— შენი ტუჩები ცივია, ცივი რთგორც დედას საფლავის ლოდი—ჩაიქვითინა ბერტამ.

მესამე ზარი დარეკეს. ბერტას გამოვემშვიდობე. მან ჩემი სატრფოს სურათი მთხოვა დამეტოვებინა, ძნელი იყო ამის ასრულება მაგრამ რა მექნა ჩემი ჯალათობის მრცხვენოდა.

— მშვიდობით ბერტა, ნუ დამივიწყებ იქნებ როდისმე გნახო კიდევ... მივაძახე მე.

გემი დაიძრა, მე ვხედავდი ის იდგა ერთ ადგილას და მე მომჩერებოდა ვხედავდი. მან დახია ჩემი სატრფოს სურათი ნაკუწ-ნაკუწად აქცია, შედგა ფეხით და სრესა დაუწყო... მე ვხედავდი, როგორ სდიოდა მას ცრემლები, მაგრამ გემი მიჰქროდა და ტალღები შხეფებს აყრიდა ბაქანს.

მეორე ქალაქში გავიგე, რომ ბერტას ტბაში თავი დაეხჩო. დეპეშა რომელიც ნაცნობ მხატვრისგან იყო მოწერილი ასე თავდებოდა... „ჩვენი წრე ეხლაც გაკვირვებულია რამ გამოიწვია ბერტას სიკვდილი და ან მისი ასეთი საშინელი გარდაქმნა, როგორიც უკანასკნელ დროს ეტყობოდა; საბრალო მამა სიკვდილის პირაა., არის ბერტას სიკვდილმა საშინელი ტანჯვა მიაყენა".

მეტი მე არაფერი ვიცი მათ შესახებ. ჩემი ბებერი მასწავლებელი ეხლა უთუოდ მკვდარი იქნება, დაათავა მხატვარმა ლაპარაკი.

— მაშინ ყველას გაგვახსენდა, რომ ოთარის დანიშნული თამარი გამვლელ აფიცერს გაჰყვა, ალბად ის სურათი ბერტას რომ დაუტოვა თამარის იქ-

ნებოდა ჩვენ არ გვინდოდა თამაროს შესახებ ლაპარაკი ჩამოგვეგდო და ამისათვის ვდუმდით.

— დიახ! ბატონებო, ჭეშმარიტად ეს იყო ციხკრის სიყვარული,

გაზეთები დიდიხანია ლაპარაკობენ, რომ გამოფენაზე ყველას ყურადღება მიიქცია სურათმა „ციხკრის სიყვარულმა“, რომლის ავტორი არ სჩანსო.

ციხკრის სიყვარული.. ციხკრის სიყვარული... ოთარი, აი ვინ ყოფილა, თურმე ავტორი — გაისმა რამდენიმე ხმა.

ტ. ტაბიძე.

ბედნიერების ძაძიებელს

(ტ. ტაბიძეს).

შენ ოცნების ფრთით ცაში დაფრინავ,
„ბედნიერების ფერიას“ ეძებ
გულდაკოდილი კვნესი და გმინავ,
მწუხარებისა გენიას იდებ!

დასტოვე ზეცა, მნათობთ სავანე,
დედამიწასა კვლავ დაუბრუნდი,
სხვებს შეუერთე შენი ძალ-ღონე ..
და ნახავ იმას, ვისაც ეძებდი.

იგი აქ არის, დედამიწაზე,
მაგრამ მშვენიერს ფარავს წყვდიადი;
გაჰაფხტეთ იგი!.. და ჩაგრულთ ცაზე
გამობრწყინდება, ვით განთიადი!

ვ. რუხაძე.

წ უ თ ი

(ესკიზი).

ის მიდიოდა, მიდიოდა თავგანწირვით, მტკიცე გადაწყვეტილებით, უკანასკნელი სალამი მიეცა მისთვის, უკანასკნელათ დაეკოცნა მისი საფლავის ბეჭენი, მდუღარე ცრემლები დაეფრქვია მის საფლავის ქვაზე და გაედნო. როგორც ტყიდან გამოვარდნილი ნადირი, როგორც მგელი ის აქეთ იქით აცეცებდა თვალებს, რომ საფრიდან არავის მოესწრო და არ განეგმირა მისი აფორიაქებული გული, არ ჩაეშხამა მისთვის უკანასკნელი სანატრელი წუთი. ის მიდიოდა, მიდიოდა, როგორც ქურდი, ჩუმი, ფრთხილი ნაბიჯით, ის იპარავდა ამ უკანასკნელ წუთს, მას უნდოდა ეს ერთი წუთი გამოეგლიჯა სამყაროს დროთა ბრუნვისაგან, მიესაკუთრებია, ჩაეყლაპა, მას უნდა ამ უკანასკნელ წუთში არავინ ჩარეოდა, მას უნდოდა ეს ერთი წუთი მხოლოდ მარტო მისი საკუთრება ყოფილიყო. შემოდგომის ქარს, გუსაკლავი ხმით კარიდან კარამდე გაჰქონდა თვისი სევდიანი სიმღერა და უბედურ ქოხებიდან დაბრუნებული, თითქო ჯავრი უნდა იყაროსო, მეტისმეტი სიძლიერით ეხეთქებოდა ხეებს. ძაძით შემოსილი ცა შხამ-ნალველში გალესილ მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა, ხან გამოშვებით გაისიოდა მისი გულიდან ამონახეთქი კვნესა.

გიგოლა მოდიოდა წინ. მას მტკიცეთ გადაწყვეტილი ქონდა მისულიყო იქ, ენახა მისი საფლავი, დაყრდნობოდა მას, ჩაეხედნა შიგ და თვისი მდუღარე ცრემლები ჩაეწვდინა. ცივი ქარი ძლიერათ აყრიდა წვიმას, თითქო სურდა გზა შეეკრა მისთვის დაეხრჩო, მაგრამ გიგოლა მიდიოდა მედგრათ შეუპოვრად. ტანისამოსი სულ დაუსველდა, ქუდი გადაუვარდა და დაეკარგა, დასველებულ მიწაზე ფეხი უცურდებოდა, მაგრამ ის მაინც მიდიოდა ერთ ორჯერ კიდეც დაგორდა გორაკიდან, თმა საშინლათ გაეწეწა, ტალახში ამოისვარა, ნამდვილ გიჟს დაემზგავსა, მაგრამ ის წამოდგა და ისევ გასწია წინ. ან სიკვდილი, ან უნდა მივიდეს იქ. ეს ერთი წუთი უნდა მოსტაცოს სამყაროს, ეს ერთი წუთი მისი საკუთრებაა. გიგოლა შეუდგა აღმართს, ფეხი უცდება, ის დაოთხილი მიდის წინ. ხელებს მაგრათ სჭიდებს სველ მიწას და მიდის, მიდის თავგანწირვით, უნდა მივიდეს იქ, უნდა ნახოს ის უკანასკნელათ, უნდა ჩასძახოს უკანასკნელი სიტყვა, უნდა უძღვნას უკანასკნელი ცრემლი. საშინელის სიძლიერით დაეხეთქა ქარი, დაეჭიდა დაოთხილ გიგოლას, მისი გახუნებული ფინჯაკი თავზე წამოაკეცა, პერანგის ღილი შეაგლიჯა და ცივი შხამიანი კოცნის დაღი დაასვა მის გამხდარ, ბალნით შემოსილ გულ-მკერდზე, ჩასწვდა შიგ. ცივი, საზარელი წვიმის წვეთები დაუშინა ცხვირ-პირში, უნდოდა სული შეეხუთა, მაგრამ გიგოლა მიწაზე განერთხო, გამხდარი ხელების თითები მაგრათ ჩაურჭო წვიმისაგან აფუებულ მიწას და კბილების ხრჭიალით აბობღდა. მიდის წინ. მიბობღავს. თავგანწირული სული იქ მიილტვის. მას ვერ შეაჩერებს ვერაფერი.

გიგოლა შეჩერდა. თვალები ცეცხლივით აუპრიალდა, კბილები გაახრჭიალა.

— იშექე, ჩამოინგერ ცაო, გასქდი, დედამიწავ, აღსდექით ჯოჯოხეთის ძალნო, შესძარით ქვეყანა, შემუსრეთ ყველაფერი, ვერ შემდრეკს თქვენი კბილთა ღრჭენა, იქროლე ქარო, დალეწე ყველაფერი, დაუშვი ცაო შენი ცრემლები, არ შევდრკები არა, ვერ დამიჭერთ ვერა, აი აქ მაგრათ ხელები ჩამიჭიდია ფუყე დედამიწისთვის, საცოდავათ მივბობღავ იქ ზემოთ, მიწაზე განართხული ვარ, მაგრამ შეგებრძოლებით, არ დაგნებდები, გიცხადებთ ბრძო-

ლას სასტიკს, მე მოგტაცე თქვენ ეს წუთი, ეს წუთი ჩემია, ვერავინ წამართმევს ვერა!—ჩაბღუოდა მიწას გიგოლა.

ის თავგანწირვით წავიდა წინ. მთვარემ თავი ამოჰყო, ცალი თვალით გადმოხედა დედამიწას, თითქო უნდოდა გაეგო რა ამბავი იყო, მაგრამ შავმა ღრუბლებმა საჩქაროთ გაუმრეს და ჩამარხეს. გიგოლა გორაკის ზემოთ აბობღდა. ქარი უფრო ძლიერად დაეტაკა, ცამ უხვათ დააპკურა ცრემლები. თმა გაწეწილი გიგოლა თავ გამეტებით გაქანდა წინ.

— ვერ წამართმევთ ვერა! ეს წუთი ჩემია! მე თქვენ მოგტაცეთ! წაგართვი!—წამოიძახა მან. ის უცბათ შეჩერდა. ის სასაფლაოს კარების წინ იყო. ნელის ნაბიჯით გასწია. გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და შეჩერდა ახალ საფლავის წინ.

— ჩემო იმედო! ჩემო ძვირფასო! მოვედი ქურდულათ, როგორც მგელი, ეს ერთი წუთი მოვიპარე, ოვსტაცე სამყაროს, ხელიდან გამოვგლაჯე ჯალათებს, მინდა გითხრა უკანასკნელი სალამი და გეამბორო.

ის დაეყრდნო საფლავს და თავი დახარა რომ ამბორ ეყო...

— ააა! შე... უცბათ ვიღაცის მძლავრმა ხელებმა ის შებოჭეს. საკოცნელათ გამზადებულ ტუჩებზე სიშწრის ღიმილმა გაითამაშა, საფლავზე დასაფრქვევი მარგალიტი ცრემლი ჩამოვარდა და მოუხეშავ ხელს დაეცა...

ირეთელი.



წვეგა.

ბრძოლის მდელოზე, დამჭკნარ ვარდთ შორის
კდემა მოსილი დავიარები,
ჩემს ტანჯულ სხეულს ეკლის ქაცვთაგან
წყლულნი დაეჩნდენ და იარები.

სადღაა ვარდნი? ერთი კოკორიც
ჯერ არ გაშლილა საგული ჩემო,
ობლათ დიდივარ ეკალთა შორის,
როგორც საკიცხავ-საანათემო.

ყვავილნი, ძველნი, დამჭკნარ-გაცრცვნილან
ზოგიც მტრის ხელით ჩამოწყვეტილა,
და შორის მბრისკენ გადასროლილებს,
ზოგს ჰფლობს ტალახი, ზოგს მალავს სილა.

აწ ახლებს ვეძებ და აქ კი სჩანან
ბუჩქნი გაცრცვნილნი, და ზედ ქაცვები...
მე მაინც დავალ ცხოვრების ველზე,
მის ვიწრო ბილიკს შორს, შორს გავყვები...

შორს შორს გავყვები მის ვიწრო ბილიკს...
ტანს დამიფარვენ მთლად იარები.
დე, გაცრცვნილ ბუჩქებს ზედ დაეპკურონ
ამ იართაგან სისხლის ცვარები!

რიჟრაჟს დავუცდი.. დილისა რიჟრაჟს,
და როს ცაზე მზე ამოცურდება,
იქნებ იქ წვეთნი ვარდებათ იქცნენ...
ოჰ, თუ ეს ასე კი ასრულდება.

საკუთარს ტანჯვას მაშინ არ ეჩივი,
ან განვლილ ჭირთა რა მომაგონებს?
მარდათ დავურბენ ველს, გაცოცხლებულს:
შევკრავ ვარდთაგან მშვენიერს კონებს,

ჩემს ტანჯულ სატრფოს მივურბენინებ,
მკერდს დავუმშვენებ, შეუმკობ თავსა
და მტერი, როცა ამას იხილავს,
ვიცი, პირაქეთ შემომთხოვს ზავსა.

ზავსა თითონ მთხოვს დღეს მძლავრი მტერი...
და ეს მოხდება გარიჟრაჟ დილით,
და მხნედ მივყვები ცხოვრების ბილიკს,
გულ უპოვარი წვეგა-ძახილით:

„გაცოცხლდით, ბუჩქნო! დაისჩით ვარდნი,
ვულის ყვავილნო! გაშალეთ ფრთები...
დილის რაჟრაჟო, მე შენ მოგველი,
ცისა კიდურში რათ არა კრთები?!“

ნ. ზომლეთელი.

კვირიდან კვირამდე.

ერთი ფრიად საარაკო თვისება ჰქონია კურთხეულ დიდმარხვას. სიმართლე გითხრათ ეს თვისება დღემდე ჩემთვის შეუმჩნეველი იყო და ყურადღებას არ ვაქცევდი. დღეს კი უბრალო შემთხვევამ აღმომაჩენია ეს თვისება. ეს შემთხვევა გახლავთ ქუთაისის დრამატიულ დასის ჩამოსვლა თფილისში. დგება თუ არა დიდ მარხვა მთელ რუსეთის

იმპერიაში იწყება საერთო „ღოღვა“. უპირველეს ყოვლისა „აღოღდებიან“ ხოლმე მსახიობნი. „ღოღავენ“ ქალაქიდან ქალაქათ, სოფლიდან სოფლათ. ჩვენი მსახიობნი როგორც დემოკრატი ხალხი, სოფლებსაც არ ივიწყებენ ხოლმე და აჭარის მიყრუებულ სოფლიდან დაწყებული სპარსეთის საზღვრამდე არცერთ სოფელს არ დასტოვებენ ~ ყველგან „მიმოღოღავენ“. ეს ფრიად საქებური საქმეა, ჩვენს მსახიობთ კეთილი განზრახვა აქვთ, დაატკბონ ბეჩავ ხალხის ესტეტიური გრძნობა და განათლების სხივი შეაშუქონ მათ ბნელ ცხოვრების კუნჭულებში. და სწორეთ აი ამ მიზნით თბილელთა დასატკბობათ და გასავითარებლათ „ჩამოღოღდა“ ქუთაისის დრამატიული დასი დედა-ბუდიანათ. ეს მოვლენა სასიამოვნოა. მაგრამ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ ქუთაისის დრამატიულ დასს ერთი რამ. დასს თან არ ახლავს მსახიობი გრიგოლ ჩარკვიანი. ვერ წარმოგვიდგენია რას უნდა მივაწეროთ ეს სამწუხარო მოვლენა, გულ მავიწყობას თუ უბრალო ინტრიგას. ჩვენის აზრით გულმავიწყობა აქ არაფერ შუაშია, ძნელია ისეთი „მსხვილი“ მსახიობის დავიწყება, როგორც ბ-ნი გრიგოლი, მაშასადამე ეჭვი არაა აქ რაღაც ინტრიგას ჰქონია ადგილი და ეს მიუტოვებელ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს ქუთაისის დრამატიულ დასს, გრიგოლ ჩარკვიანის „ჩამოუღოღებლობა“ სამწუხაროა, მისი მომხიბლავი თამაშით ველარ დასტკბება თფილისის საზოგადოება. დასი სულ სამ წარმოდგენას მართავს, პიესები საუკეთესო აურჩევიათ. ბევრი კარგი რამ გვსმენია ქუთაისის დრამატიულ დასზე, იმედია თფილისის საზოგადოება თავის თვალით იხილავს მათ და მადლიერიც დარჩება.

—

თუ თფილისის საზოგადოება ქუთაისის დრამატიულ დასის ჩამოსვლით მადლიერი უნდა დარჩეს, სამაგიეროთ თვით თფილისის საზოგადოება არ არის მადლობის ღირსი, რომ ამ ბოლო დროს მას წიგნების ჭამა დაუწყია. ამ რამდენიმე თვის წინათ თფილისში გაიხსნა „ახალ წიგნების ბიბლიოთეკა“. რასაკვირველია ეს საქმე ფრიად სიმპატიურია. მოაზროვნე საზოგადოებისათვის ისე საჭიროა ახალი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, როგორც ჰაერი. თფილისის საზოგადოებაც აღტაცებით შეეგება ამ საქმეს და ხარბათ დაეწაფა...წიგნების ფურცლებს!.. ერთი თვის განმავლობაში ბიბლიოთეკის გამგეს ხელში შერჩა ნახევრათ დაჭმული წიგნები და ჟურნალები. ისეთ წიგნს ვერ ნახავთ ეხლა, რომ რამდენიმე ფურცელი არ იყოს შიგ ამოჭმული. წიგნების ჭამამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ბიბლიოთეკის გამგე სასოწარკვეთილებამდეა მისული, მალე გაკოტრება მოელის. როგორც გავიგეთ ერთი ადგილობრივი ექიმის რჩევით გადაუწყვეტია დღეიდან მოსწამლოს წიგნების ფურცლები, რათა აღარ შეეძლონ მისი შეჭმა. თუ ეს მართალია უნდა ველოდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელი თფილისის ინტელიგენტები მოიწამლება და ამოიხოცება. და გადაშენება მოგველის. თვით თფილისის საზოგადოებამ უნდა დასდოს ამას წამალი.

ნალარა.



ლიტერატურული შენიშვნები.

I.

ვინც თვალ ყურს ადევნებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, არ შეუძლია არ შეამჩნიოს ორი საყურადღებო მოვლენა: 1) სრული უქონლობა ლიტერატური კრიტიკის, 2) ცალმხრივი განვითარება ჩვენი ლიტერატურის, რომელიც გამოიხატება პოეტების გამრავლებაში, ლიტერატურის თითქმის მხოლოდ ერთი დარგის (ლირიკულ პოეზიის) არსებობაში.

რაც შეეხება კრიტიკის უქონლობას, ეს ახასიათებს არა მარტო თანამედროვე მომენტს—ლიტერატურული კრიტიკა არასოდეს არ გვქონია ჩვენ ქართველებს, ერთ კრიტიკოსს ვერ დაასახელებთ ისეთს, რომლის ნაწერებს რამე დადებითი მნიშვნელობა ქონოდეს ქართულ ლიტერატური-

გაიხსენეთ რუსის კრიტიკოსები როგორც, მაგალითად, ბელინსკი, მაიკოვი (ვალერიანი), დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკი, პისარევი და სხ. რუსული ლიტერატურის განვითარება ვიწროთ შეკავშირებულია მათ მოღვაწეობასთან. თუ ლიტერატურას ცნობილი თქმულების თანახმად ქმნი ერთგვარათ კრიტიკა, ადვილათ გასაგებია რათ არის ასე ღარიბი და დაქვეითებული ჩვენი ლიტერატურა.

ლიტერატურის განვითარებაში ბევრ მიზეზებს აქვს მნიშვნელობა, რასაკვირველია, მარა ეჭვს გარეშეა, რომ კრიტიკაც ერთი ფაქტორთაგანია, რომლის მნიშვნელობა ერთობ ძლიერია ლიტერატურის განვითარების საქმეში.

რამდენათ არა სასურველი მოვლენაა ლიტერატურულ კრიტიკის უქონლობა—ეს ცხადია ყველასათვის. სულ სხვაა მეორე, ჩვენ მიერ აღნიშნული, მოვლენა: სასურველია თუ არა პოეტების გამრავლება? ეს კითხვა იმდენათ მარტივი არ არის, როგორც პირველი და თხოულობს მეტ დაკვირვებას.

როგორც მოგეხსენებათ, პოეზია უფრო ადრე დაიბადა პროზაზე. პირველი ლიტერატურული ნაწარმოები ხალხისა პოეზიას ეკუთვნის—ლირიკას და ეპოსს. აგრეთვე განყენებული აზრის, ფილოსოფიური იდეების ჩამოყალიბებასაც ჩვენი წინაპრები ცდილობდენ რითმების საშვალებით. პირველ ყოფილი იურიდიული აზროვნებაც პოეტურ ფორმაში ჩამოისხა და პირველი კანონები ლექსით დაიწერა. თუ მიუმატებთ ამას იმ საყურადღებო მოვლენას, რომ ველურ ხალხშიდაც როგორც გვამცნობენ ეთნოგრაფები და მგზავრები ლექსს იმდენათ ხაპატიო ადგილი უჭირავს, რომ ყოველ აზრს რითმებით გამოთქმულს თითქმის არგუმენტის მნიშვნელობა ეძლევა, თუ მიუმატებთ ამას აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ბავშვებს ძალიან ეადვილებათ ლექსების შეთვისება, თავის თავად იბადება კითხვა: არ არის ეს რითმებით გატაცება, რომელმაც თითქმის სტიქიური ხასიათი მიიღო ჩვენ ლიტერატურაში, არ არის ეს აუარებელ პოეტების გამრავლება ერთგვარი ატავიზმი, უკან დახევა? იმის მაგივრათ რომ წინ გადავდგათ ნაბიჯი, არ ვიხევთ უკან? არ არის ეს ჩვენი ლიტერატურის დაქვეითების მომასწავებელი.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას რომ ჩვენ პოეტის სახელს უწოდებთ ყველას, ვინც კი რითმებით გამოთქვამს თავის აზრებს და გრძნობებს, მხოლოდ **დროებით და პირობით** (**условно**) სანამდის არ გამოვარკვევთ ამ სიტყვის (პოეტი, პოეზია) შინაარსს და მნიშვნელობას. თავის თავად ცხადია, რომ ყველა ვინც კი რითმებს აწყობს, პოეტი არ არის და შეიძლება უფრო დაშორებული იყოს პოეზიას ვიდრე რომელიმე მეფურნე ან მეჩექმე.

ჩვენ გვინდა კიდევ ერთ გარემოებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ნ. მიხაილოვსკი ერთ თავის წერილში აღნიშნავს იმ მეტად საინტერესო მოვლენას, რომ ზოგიერთი სულიერ ავათმყოფობის დამახისიათებელ თვისებას შეადგენს რითმებით გატაცება. მას მოყავს გამოჩენილ მეცნიერ ლომბროზოდან ამის მაგალითები.

ფრანგული მეცნიერის რენიარის თხზულებაში მოუყანია მთელი რიგი ლექსების, რომელნიც ეკუთვნიან სულით ავათმყოფებს და სიმართლე უნდა ითქვას, რომ თუ ამ ლექსებს დადებითრამე წუნს, მხოლოდ შინაარსის მხრით და არა ფორმის. საყურადღებოა, რომ ზოგიერთ ამ ავათმყოფთაგანს რითმმანია დაეტყო მხოლოდ ავათმყოფობის შემდეგ.

ჩვენ ყველა ეს მოვიყვანეთ არა იმიტომ, რომ დაგვემცირებია პოეტები—არა ჩვენ შორს ვართ ასეთ განზრახვისაგან—არამედ გვეჩვენებია ჩვენ ახალგაზრდა პოეტებისთვის, რომ ლექსით წერა სრულებით არ შეადგენს ისეთ სიძნელეს, როგორც ეს მაგათ შეიძლება გონიათ, რომ ის, რაც ლექსებით იწერება შეიძლება ისე იყოს დაშორებული პოეზიას, როგორც ცა მიწას. გარდა ამისა ჩვენ სურვილი გვაქვს ხელი შეუწყოთ პოეტთა შორის თვით კრიტიკის განვითარების საქმეს. უნდა ითქვას, რომ თუ სადმე თვით-მოყვარეობას აქვს ფესვები გადგმული—არსად ისე, რამდენათ პოეტთა შორის. მუზის მსახურნი ძნელათ ითმენენ კრიტიკას, ყოველი-რიტიკული შენიშვნა, რომელიც დიფირამბს არ წარმოადგენს მათ შეურაცხყოფათ ეჩვენებათ და გულუბრყვილოთ დარწმუნებულნი არიან, რომ როდესაც მათ ლექსებს არჩევთ ხელში უნდა გეკავოთ გუნდრუკი და საკმეველი და იძახოთ დანტეს სიტყვები.—ონორატე ლ'ა'ბტისსიმო პოეტა!

არა ერთხელ ახალგაზრდა პოეტებიდან, რომლის ლექსებს ხშირათ შეხვდებით ჩვენ ჟურნალ გაზეთებში, გამიგონია ასეთი ჩივილი: ლექსი დავწერე (დაიწყებს ქებას), მარა რედაქტორმა არ დამის ტამბა. ამას მოჰყვება იმის მტკიცება, რომ რედაქტორი უარყოფს პოეზიას, არ უნდა გაიგოს მისი მნიშვნელობა დეკორატიისთვის და სხ. ამისთანები.

სანამდის აწევს პოეტების ცრუ თვით-მოყვარეობა ამტკიცებს შემდეგი სასაცილო, მარა მასთან სამწუხარო მოვლენა. რედაქტორმა ერთ ყოველ დღიური გაზეთის, რომელთანაც აუარებელი ლექსები მოქონდათ, გადაწყვიტა კვირაში მარტო ერთ-ჯერ სტამბოს ლექსები, არჩეული ერთი კვირის პოეტურ მასალიდან. ერთმა პოეტმა, რომლის ლექსი მოექცა არა იმ ალაგას, სადაც შეეფერებოდა მის ღირსებას შეურაცხყოფილად მიიღო თავი—რატომ თავში არ მომაქციეთო და დაემუქრა: აწი არ მოვიტანო.

ყოველივე ეს ამტკიცებს, რამდენათ განვითარებულია პოეტებში ცრუ თვით-მოყვარეობა. ვიმეორებთ, ჩვენი წერილის საშვალებით გვინდა სხვათა შორის ხელი შევუწყოთ პოეტთა შორის თვით კრიტიკის განვითარებას და უფრო ფხიზელი და სწორი აზრების განმტკიცებას მათში საკუთარ ნიჭზე და მოღვაწეობაზე.

დღეს ლექსთა წყობის ტეხნიკა იმდენად ადვილი საქმე გახდა, რომ რეკლამებიც ლექსების საშვალებით იბეჭდება და რითმებით წერა, რომ პოეზიას შეადგენდეს, მაშინ შუსტოვის რეკლამებიც, რომლების საგანს თავის კონიაკის ქება დიდება შეადგენს, თანამედროვე ლირიკულ პოეზიას შესამჩნევად გაამდიდრებდა, მარა სამწუხაროთ ყოველივე ის, რაც რითმებით იწერება პოეზიას არ შეადგენს და სულ ყველა ჩვენი რითმით-მწერნი, როგორც ზეით ვთქვით პოეტები არ არიან.

ნათქვამია: замѣть себѣ, ссылаться можетъ чортъ на доводы священнаго писанія და ჩვენი „პოეტებიც“ არა ერთჯერ მიმართავენ მუზას და თითქოს მისი სახელით ღაღადებენ. მარა არავინ არ შეურცხყოფს ისე ძველ ელლადის ხელოვნების მფარველ ღმერთს, როგორც ეს ცრუ-პოეტები და ამ მხრით სრულიად მართალია ერთი ახალგაზრდათაგანი პოეტი, რომელიც მიმართავს თავის ამხანაგებს „მუზის მტრებს“ ასეთი ენერგიული ლექსით:

ესწავეთ კუბო, უთხრათ ზარი,
შიგ ძეგს სპარადო მუზის ტხედარი,
კალმით შუბლი ექვს მეს განგმირული,—
ეს თქვენ შესძლით სიქმე გმირული!

მუზამ ვერ აიტანა ის ტანჯვა, რომელსაც ის განიცდიდა უნიკო პოეტებიდან. მუზა, აღმფრთოვანებელი დიდებული პოეტების ჰომეროსის, გეტესი, ბაირონის, ალფრედ მიურესი—ეს მუზა ჩვენ თანამედროვე პოეტების ხელში, რომლებიც ვერ გრძნობდენ რომ „ეზიდებოდენ მას საფლავისაკენ“ დაჭკნა, დაავათმყოფდა...

და ჭა ალსრულდა!.. წეგს უკვე მკვდარი,
ზარსსის მოხზე კაისმის ზარი,—
ეს, თქვენ შესძლით სიქმე გმირული,
მაშ კასვენეთ გულ-განგმირული!

ჩვენ არ გვინდა, რასაკვირველია, ამითი ვსთქვათ, რომ ჩვენ თანამედროვე „პოეტებში“ არ არიან ნამდვილი პოეტები „Божьей милостью“, როგორც იტყვიან, სრულებითაც არა, ჩვენი წერილების მიზანი სწორეთ ის იქნება, რომ მიუთითოთ მკითხველებს ნამდვილ პოეტებზე, იმ აუარებელ ლექსებში რომლებიც იბეჭდებოდა და იბეჭდება ჩვენ ჟურნალ გაზეთებში ამოვარჩიოთ ის, რასაც პოეზიის ბეჭედი ასვამს, ვუჩვენოთ მკითხველს, ვინ არის პოეტი და ვინ რითმებით მოვარჯიშე, ვის შეაქვს ღვაწლი ჩვენ ეროვნულ ლიტერატურის აყვავების საქმეში, და ვინ აფერხებს ამ საქმეს.

საყურადღებოა ერთი გარემოება. ყოველი დამფასებელი და კრიტიკოსი რომელიმე მეცნიერული სისტემის, საკმარისათ მომზადებული უნდა იყოს მეცნიერულათ, თუ არ უნდა სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდეს. აგრეთვე ყოველი კრიტიკოსს რომელიმე მუზიკალური ნაწარმოებისას სასაცილოთ აიღებენ, თუ არ აქვს საკმარისი მუზიკალური განათლება და გემოვნება. ასეთივე ბედი ეწვევა ყოველ მეჩქმეს, რომელიც მოინდომებს პურის გამოცხობას და ყოველ მეპურეს, რომელსაც ჭკუაში მოუვა ჩექმების შეკერვა. ლიტერატურული კრიტიკა კი იმდენად ადვილი საქმეთ არის მიჩნეული, რომ ყოველი ადამიანი ამისთვის საკმარის მომზადებულათ სთვლის თავის თავს, და არავის ეს არც სასაცილოთ, არც საძრახისათ ეჩვენება.

ამით აიხსნება ის მეტად სამწუხარო მოვლენა, რომ ჩვენი ლიტერატურა არა თუ არ არის ჯერ ღირსეულათ და ჭეშმარიტათ დაფასებული, არამედ პირველი ნაბიჯიც არ არის გადადგმული იმისკენ.

ფართე საზოგადოებაში, რომელიც მოკლებულია ლიტერატურულ განვითარებას და ესტეტიურ გემოვნებას, ისეთი აზრები ტრიალებს ჩვენ ლიტერატურაზე, რომელიც სასაცილო იქნებოდა, რომ არ იყოს ფრიად სამწუხარო, ამიტომ ლიტერატურულ კრიტიკის მოვაღეობას შეადგენს ჩვენში რადიკალური, ძირითადი გადახილვა ჩვენი ლიტერატურის და ფხიზელი მიუდგომელი გარჩევა მისი.

ეს რასაკვირველია ისეთ შრომას შეადგენს, რომელიც სცილდება იმ ჩარჩოებს, რომლებითაც ჩვენ გვინდა შევზღუდოთ ჩვენი ლიტერატურული ცდა. ჩვენი მიზანი გაცილებით უფრო ვიწრო და მცირეა: თანამედროვე ქართულ პოეტების ნაწარმოებთა მიუდგომელი დაფასება, ნამდვილ პოეზიის ყალბისაგან გარჩევა.

თუ ჩვენმა ცდამ ცოტათი მაინც გაჰფანტა ის ბურუსი, რომლითაც მოცულია თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ჩვენ ჩავსთვლით ჩვენ მიზანს მიღწეულათ.

გარდა ამისა, თუ ჩვენი კრიტიკული ეტიუდები იქონიებს ისეთი გავლენას, რომ ნამდვილ პოეტებს მისცემს საშვალებას უფრო ღრმათ ჩაუკვირდეს თავის ნიჭს და ამისდა მიხედვით განავითარონ ის, იმ პირებს კი რომლებიც ლექსების წერას ეწაფებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ხელობა უფრო ადვილი გამხდარა სხვაზე, შეაგნებინებს რამდენათ დაშორებული არიან მათი ნაწერები პოეზიას—ჩვენ ვიგრძნობთ სრულ კმაყოფილებას.

ვლ. ბაქრაძე.

ჩემს სალათს

მეგობარათ შეფიცულო,
ჩემო ძველო ხალათო,
განუყრელო, ერთგულო,
შენ უნდა გეკამათო.
გხამს სიცივში მათბობდე,
მოკრუნჩხული გამმართო,
როდესაც ვმწუხრდებოდე
ჩუმ ალერსით გამართო.
ოდეს ფიქრი წამიღებს,
ფიქრი მასმევს შხამ ნაღველს,
რადგან სხვა არ გამიგებს,—
ვით იმედსა გავლებ ხელს.
შენ ჩემთან ხარ მარადის,—
დღე დღეს მისდევს, წელი წელს...
ვფიცავ, მიჩანს არად ის
რომ გატარებ მარად ძველს!
გარეგნულ სიახლესა
მაინც არ ვარ ჩვეული,—
სად მწარე ამოკვნესა
და სად ფარჩით ხვეული?
მხოლოდ შენ შეგეთვისა
ფიქრი, გრძნობა, სხეული,
რა დარდი ვვაქვს ქვეყნისა,—
მან გაგვხადა ეული!
მხოლოდ ეს კი მაწუხებს
რომ მოხუცსაც გაწვალებ,
შემოადნი მთლად გვერდებს,—
შრომას მაინც გავალებ!
ჩაცმა-გაძრობის დროზე
იდუმალად ვალალებ,
რომ ვერ მადგები შნოზე,
გეშინია... კანკალებ.
მერიდები,—შენს მგოსანს
სირცხვილი არ დამმართო,
სულიო ამაყს, ჩანგოსანს,
მით გული არ წამართო.
მაგრამ ძმად შეფიცულო
თუნდ ჭირს ჭირი დამართო,
შენ უნდა გიერთგულო
ჩემო ძველო ხალათო!

ნ. ჩხიკვაძე.



ბედშავი დღე.

(ამბავი გურიის ცხოვრებიდან).

I

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ონისიმე დურგალიძის სახლის კარებთან ეტლი გაჩერდა. ეტლიდან გადმოვიდა სამი კაცი, ვიღაცას აქეთ იქიდან შეუდგენ და ეტლიდან გადმოსვეს.

ონისიმეს ცოლი მარო, ამ დროს სახლში საქმიანობდა და როცა მოულოდნელათ კარებზე ეტლი მიადგა, ელდა ეცა. ის საქჩაროთ გარეთ გამოვარდა და რა დაინახა თავის შვილი და მეზობლები, ენა ჩაუვარდა, მიხვდა, რომ მის თავს კარგი ამბავი არ იყო. ეტლიდან გადმოიყვანეს ნაბადში გახვეული ონისიმე—მარომ ერთი ამოიკვნესა და ძლივს მოახერხა სიტყვის თქმა.

— ბიჭო, რა დიემართა, მომესპო სიცოცხლე?! — ნელი, მიგრამ უზომო შეწუხებული ხმით იკითხა მარომ და ავათმყოფს თვალებზე ჩამოფარებული ჩაბალახი გადაუწია, რომ გაეგო, რა მდგომარეობაში იყო მისი საყვარელი ქმარი.

— რა დაემართებოდა? — ხომ ხედავ ავათ არის; ლოგინი დააგე, ლოგინი ჩქარა — უპასუხა დედას აკაკიმ.

— ნუ გეშინია მარო, გზაში, ეტლის რახრახმა ძალიან გალახა, თვარა ისე აფერი უქირს, — ანუგეშა გულშემოყრილი მარო ერთმა მეზობელთაგანმა; რომელსაც მხარში უნდოდა შესდგომოდა ავათმყოფს, რომ როგორმე საწოლამდი მიეყვანა, მარა ავათმყოფი ისე იკეცებოდა, რომ სამს გაუჭირდა მისი მიყვანა.

— რაღა ნუ მეშინია ბატონო, რას ხადავს ამას ჩემი დასაფსები თვალები! აცრემლებული თვალებით წარმოსთქვა მარომ და ლოგინის გასწორება დაიწყო.

ონისიმეს საჩქაროთ გახადეს ტანთ და ჩააწვინეს ლოგინში.

— ონისიმე!.. ონისიმე!.. მითხარი რაცხა შენიჭირიმე!. გუშხამ რომ კარქათ გაგიშვი, ასე ელანძე რა წაგაფრინდა, რა წაგეკიდა... ჩემო ონისიმე, ჩემო ოცი წლის გუუწყეინებელო ამხანაგო, რაფერ ხარ შენ გენაცვალე... ვაიმე შვილებო... ვაი ჩემს უბედურ დღეს, დაქცეულს, დაღუპულს... — სასოწარკვეთილი ხმით, ცრემლების ლაპა-ღუპით, ჩასძახოდა მარო ქმარს და ნახევრათ გაციებულ ხელფეხზე ეხვეოდა, გულში იხუტებდა; მარა ონისიმეს არაფერი ესმოდა; ის მხოლოდ მძიმეთ სუნთქავდა.

— უბედურო დესპინე, რა ამბავი დაგხვდა შინ, რომ მოხვალ... გიკტება შენი შვილი... შვი-

ლებო გიკვტება მამა... გვექცევა ოჯახი... ვიღუპებით... მეზობლებო, მიშველეთ .. მომეხმარეთ .. თქვენ ხომ ყველას გიყვარდა ონისიმე... მიმშველეთ .. მიშველეთ,—გულშემზარავი ხმით ევედრებოდა ყველას მარო... უნდოდა მიშველებოდა, ეხსნა როგორმე საყვარელი ქმარი სიკვდილისაგან.

მეზობლების მწუხარებაც განუსაზღვრელი იყო: ვინ ფერშლის მოსაყვანათ მირბოდა, ვინ წამლისათვის და ვინ სად — ოღონდ ონისიმეს მიხმარებოდენ და არაფერს არ დაზოგავდენ.

— სახლს შამუუარეთ სახლს... ილოცეთ, ღმერთს შიეხვეწეთ,—ეუბნებოდა ერთი მოხუცი ქალი დანარჩენებს, რომლის გულწრფელ თხოვნას ყურადღება არავინ მიაქცია.

— უბედურო ონისიმე, საწყალო ონისიმე,— გაიძახოდნენ მეზობლები და წამდაუწუმ მიდი-მოდიოდნენ ამბის გასაგებათ.

II

ვინ იყო ონისიმე, ყველა ასე, რომ შეაწუხა მისმა ავათმყოფობამ? ის იყო სოფლის ერთი უბრალო მუშა კაცი, ზედ მიწევნით პატიოსანი და კეთილი.

წერა-კითხვა ონისიმეს პატარაობიდანვე შეესწავლა და ისე შეყვარებოდა წიგნების და გაზეთების კითხვა, რომ თავისუფალ დროს ხშირათ კ თხვაში ატარებდა. ამიტომ იყო, რომ სოფლის კაცის პირობაზე, შეგნებული კაცი იყო. ის ყველას უყვარდა და პატივს ცემდა.

ცოლიც კეთილი და პატიოსანი ადამიანი შეხვდა ონისიმეს. ორივე ცოლქმარი, ისე ტკბილათ და თანხმობით ეწეოდნენ ცხოვრების მძიმე უღელს, რომ ერთხელ რა არის უბრალო საწყენი არ ახსოვდათ ერთმანეთის.

ონისიმეს მეუღლე მაროც წერა-კითხვის მცოდნე ქალი იყო. ის არ იყო ზოგიერთი ქალებივით დიდგული, ამპარტავანი, გრძელი, ავი ენის პატრონი. უალაგოთ არც კი დაილაპარაკებდა. არ უყვარდა სხვისი გაკიცხვა და დამცირება.

ონისიმეს მოძრაობის დროსაც დიდი ამაგი მიუძღოდა. გაჩნდა თუ არა მოძრაობა გურიაში, ის მაშინვე ჩაება შიგ და რაც შეეძლო სულით და გულით მუშაობდა. აკავშირებდა სოფლის მუშაკაცებს, აწყობდა წრეებს, უხსნიდა მოძრაობის მნიშვნელობას, რამდენათაც ეს მას ესმოდა. უკითხავდა მეზობლებს ჟურნალ გაზეთებს, წიგნაკებს და სხვა. ამასთანავე ის კარგი მოლაპარაკეც იყო. ირჩევდნენ კრებებზე თავმჯდომარეთ, ამხანაგურ სასამართლოს წევრათ და ეკითხებოდნენ რჩევა დარიგებას.

ონისიმეს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა მოძრაობამ ხალხში ფესვები გაიდგა. მართალია წინეთ ზოგიერთი მეზობლები დასცინოდნენ ონისიმეს: – ამხელა კაცი რაღამ გააბდლა ბალნების ბჟუტურს, რომ აყოლიაო ამბობდნენ ისინი.

მარა როცა უმრავლესობა შეკავშირდა, შეერთდა, მაშინ კი იკადრეს ლაპარაკის კილოს შეცვლა.

— მე რეიზა არ ჩამწერე წრეში აფხანიკო ონისიმე? ახლა კი არა რამდენი ხანია ახალთაობის ვარო—ეუბნებოდნენ ცოტათი დარცხვენით ისინი, რომლებიც გუშინ მიწას უთხრიდნენ ახალთაობასაც და მის მომხრესაც!!.

— რომ ყვიროდით ახალთაობა ვერაფერს მოგვიტანსო, ეხლა ხომ კარგია დრამის ფულს, რომ არ იხთით! როგორ ფიქრობთ, სუდი უფრო სამართლიანათ არჩევდა ჩვენ საქმეს და პოლიცია თუ ახალთაობაო?—შეეკითხა ერთხელ ონისიმე მეზობლებს.

— რას ჩივი კაცო, სათ ვინცხა გადაყრუებული ჩინოვნიკი, რომელსაც ინჩი არ გაეგება შენი და სათ შენი მეზობელი. იქინე ენა არ მათქმიეს მარკას მთხოვდენ და ბელასინს. ორი განაწერას დაწერაში მწერალმა კაი ჯორის ნალი წეიღო. აქანე დაწერილი თხოვნა უკან დამიბრუნეს,—სუდი არ არის აქო, რაც გინდა მოყევი და ილაპარაკეო. აგია ძმაო ჩვენი საქმე თარჯიმანი არ გინდა და აფერი. თუ მართალი ხარ ქე გაგამართლებენ და თვარა რა ქნას იმ კაცმა ახალთაობა რომაა იმიზა ყველას კარ გაამართლებენო ამბობდნენ ონისიმეს ზოგიერთი მეზობლები.

— ხო და ასეა, ახალ თაობა ყოველთვის იმას ცდილობს, რომ მართალი არ გამტყუნდეს და მტყუანი არ გამართლდეს. ძლიერმა სუსტი არ დაჩაგროს.

— მართალია ძმავ მართალი. მე უქრთამოთ ჩემს სიცოცხლეში აფერი გამიკეთებია. აბა ახლა დახარჯე ქრთამი თუ კაი ბიჭი ხარ!—სთქვა მეორემ.

— მაშ როგორც ჩანს ახალთაობა ყველას მოგწონს - განაგრძო ონისიმემ—მარა საქმე იმაშია, რომ რაც ღარიბი ხალხიზა კარგია, ის მდიდრებიზა მავნებელია. ამიტომ ისინი ჭოსისხლე მტერია ახალთაობის; ისინი არაფერს არ დაზოგავენ, რომ ახალთაობა დამარცხდეს, მათი ამხანაგებია ჩინოვნიკებიც, ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ ხელიდან არ გამოგვლიჯონ ახალთაობა, თუ ერთმანეთს არ ულალატებთ, ისე არა გვიშავს, რადგანაც საქმე ძალაზე, ძალა კი ჩვენკენ არის, იმიტომ, რომ ღარიბები უთვალავი ვართ, მდიდრები და მათი მომხრე ჩინოვნიკები კი ერთი მუჭა—ეუბნებოდა ონისიმე მეზობლებს, როცა ისინი შეეკითხებოდნენ ახალთაობის შესახებ.

დამარცხდა „ახალთაობა“.

ამ გარემოებამ, სხვა შეუგნებელ ამხანაგებთან ერთად, ონისიმეც ძალიან დააღონა. სხვა არა იყოს რა, ის დაცინვას ვეღარ უძლებდა ზოგიერთ ქარაფშუტა მედროვე მეზობლებისას.

— რა ქნა აფხანიკო ონისიმე თქვენმა ახალთაობამ, აგია ქვეყანას ავაშენებთო, რომ ბრძანებდით? სათ ბრძანდებიან ახლა იგი ვაჟბატონები, რომ მუუყრიდენ ერთათ რაც დუნიაზე ხალხი იყო თავს და დადგებოდნენ ქადაგათ, დრამის ფული არ გადიხადოთო, ყანა არ იმუშაოთ, უმფროსი ნუ გვინდა, უმცროსი ნუ გვინდა, ღვდელი არ გვინდა და ბერიო? სათ ბრძანდებიან ახლა დრამის ფულსაც რომ ერთათ გვთხოვენ, უმფროსიც გამოგვიჩითა, ბერიც და ღვდელიც — ნიშნის მოგებით შეეკითხებოდნენ ზოგიერთი მეზობლები ონისიმეს.

— ნუ გადაამახინჯებ ჩემო გლახუნ, ნუ! შენ კარგათ გახსოვს ახალთაობა რას უქადაგებდა ხალხს! თუ არ მოგწონდა, მაშინ რაღას იხვეწებოდი „ჩამწერეთ ახალთაობაში მეც თქვენი ამხანაგი ვარო?!“ ახლა აღარ მოგწონს როცა დამარცხდა თქვენისთანა შპიონების წყალობით?!

— თუ არ მიმიღებენ ძაანს კი შევეხვიწები, ვაი დედაჩემს როცხა გავსულელდი, მარა აწი, რომ ახალთაობა მუა ძაან დეიქეთ. წევე კაი გვიქნა თუ დაგვწვა და დაგვდაგა.

ონისიმეს გულს უკლავდა ასეთი სიტყვების გაგონება, მარა მომავლის იმედს მაინც არ კარგავდა.

ხ. **რემონიძე.**

(დასასრული იქნება)

კ ვ ნ ე ს ი.

საღამოს ჟამს, როს ლაჟვარდი
ხოლმთა კუნწულს გამოისხავს,
გაბადრული მთვარის მკრთალ შუქს
პირ-ფარეშათ წამოისხავს.
ქურუმებათ მდგარი მთები
გადმოშლიან ჩრდილთ დალალებს,
ზღვა შესწყვეტავს ტალღათ ტორტმანს
და მილულავს დიდრონ თვალებს.
მთის ნიავი ჩანჩქერ-ნაკადს
გაუმხელს თვის ხვაშიადსა,
ორთავენი ქურდულათა
გაჰკოცნიან ია-ვარდსა.
ბულბული და იადონი
აჟღერენ გრძნობით ჩანგსა,
ფირუზ ეთერს ჩააქსოვენ
ტრფიალება შვების ჰანგსა,—
მე ვერ ვცხრები ამ დროს სულით
ვერ ვსდევ ტალღას ოცნებისას,
ნაზ ბუნების ფსალმუნებას
ვერ ვუერთებ ჰიმნს ვნებისას.
კაეშანით მონისლული
ვტოვებ ჩემებრ ობოლ სადგურს
ვილტვი სოფლით.., და დავეძებ
ადგილს ხრიოკს...ყრუს... უდაბურს.
იქ დავსტირი ჩემს რწმენასა
დუშმნის მიერ გათანგულსა,
სხვის ხედვიდან მოპარულათ
ვაფრქვევ ცრემლთა ნაკადულსა.
სულით ობოლს, მიუსაფარს
ის მყავს ერთგულ მეგობარათ,
მხოლოთ იგი მიმაცილებს
საფლავისა შავ-ბნელ კარათ.
მისთვის ვმალავ მას კაცთაგან
ვშიშობ იგიც არ წარმტაცონ,
მტრულის ზრახვით გაჟღენთილთა
მწიკვლ-ტალახი არ წააცხონ.
მისთვის ვილტვი სოფლიდანა
ვითარც მწარი ბედის წყევით
და დათალხულ ოცნებასა
დავქვითინებ ცრემლთა ფრქვევით.

დ. თურდოსპარელი

მოწერილი ამბები.

(პროვინცია).

ფოთი. როგორც საზოგადოთ იმერეთში, წელს აქაც დიდი თოვლა დასდო, რამაც გამოიწვია მატარებელთა მიმოსვლის შეჩერება და სანოვაგეთა ღირებულებათა ერთი ხუთად გადიდება. რასაკვირველია, როგორც საზოგადოთ სჩვევიათ, ხალხის გაჭირვებით ისარგებლეს ჩირჩ ბაცაცებმა. მაგალითად, მეშეშეებმა 13 მანეთიანი საჟენი შეშა 40—50 მანეთამდე აიყვანეს. და ასეთ მათ თავ-გასულობას ჩვენი თვითმართველობა ოდნავათაც არ შებრძოლებია. ამ ბოლო დროს, როცა ამ ვაჟბატონებმა უკვე საკმაოთ დაისქელეს ჯიბეები უპრავამაც დაიწყო „პარკში“ ხეების ჭრა და მცხოვრებლებს შესაფერ ფასებში (კლეტკა 5 მან. ე. ი. საჟენი 20 მან.) მიწოდება, მარა პეტრეს მისვლამდას პავლეს ტყავი გააძვრესო სწორეთ ამაზე ითქმება.

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, როგორც იყო ვეღირსეთ მატარებლების მიმოსვლის აღდგენას, რაც მხოლოთ რამდენიმე დღე გაგრძელდა 10 თებერ-

ვალს მეორე ვერსში გადახეთქა ლიანდაგი მოდიდებულმა რიონმა და რამდენიმე საჟენზე სულ გადალეკა ყველაფერი, რაც მოხდა დაახლოვებით საღამოს 7 საათზე. მაგრამ ეს შემაძრწუნებელი ამბავი ამით არ დასრულებულა, გადახეთქილმა წყალმა თავზარი დასცა ნაბადის (ფოთის ნაწილია) მცხოვრებთ, სადაც 500 მოსახლემდი ითვლება. ეს მხარე ამ საღამოზე წარღვნას მოაგონებდა თურმე კაცს. შინაური ფრინველები და თითქმის ყოველგვარი ოთხ-ფეხი საქონელი წყალმა იმსხვერპლა. ყველა ამის შემდეგ იკადრეს, როგორც იყო ჩვენმა მამებმა დაფაცურება მეორე დღეს ჩამოვიდა კავკ. რკინ. გზის მთავარი გამგე ნეიგებაუერი. მას მოყვა „მინნი კამანდა“ და დაიწყეს რიონში ყინულების მტვრევა. რიონი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ ზევითაც სრულიად გაყინული იყო, რითაც მოსალოდნელი იყო, რომ წყალს მოემატებია მდინარის კვლავ შეგუბება და იმის კი ვინ იცის რა მოყვებოდა. დღეს 15 თებერვალს კიდევ მუშაობს ხსენებული კამანდა. ქალაქში მდინარე უკვე გაწმენდილია, სადაც ქალაქის ინჟენერი მუშაობდა ფილუკების საშვალებით. ვინაიდან 13-ს საღამოს ახლად გაკეთებული გზა ისევ გადახეთქა წყალმა, მატარებელი 14 საღამომდის არ გასულა. სანოვაგე ისევ ცეცხლის ფასადაა. თითო კვერცხი თითო შაურათ ფასობს. ეხლა რაკი გზა გაიხსნა ცოტ-ცოტაობით ხორაგოულის შემოტანაც იწყება, რითაც ზოგიერთმა ჩარჩებმა ისარგებლეს. მაგ., 15-ში რაც კვერცხი შემოვიდა სულ ონ. ე—ნიამ ჩაიგდო ხელში და რადგან მეტოქე არავინა ყავდა, როგორც უნდოდა ისე ყიდდა, გვიკვირს ბაზრის მეთვალყურე რას აკეთებს, როცა მის გვერდით ჩარს-ბაცაცები ასეთ ოინებს ჩადიან?..

—

ხოფ. ჭალადიდი. როგორც ცნობები მოდის საზარელ მდგომარეობაში ყოფილა, მთელი მიდამოები წყლითაა თურმე დაფარული. „საქოჩაქიო“ ნახევარიდან საჟენ ნახევარამდის წყალში ყოფილა ჩაფლული მეჯოგეებს მთელი პირუტყვები დახრჩობიათ, ექვსი კაცი ერთი დღე და ღამე ხეებზე ყოფილა შეხიზნული და მერე გადაურჩენიათ. როგორც ამბობენ არის თურმე ადამიანის მსხვერპლიც.

კაციმ მუნჯაძე.

—

ს. ჭაგანი. (ქუთ. მაზრა). წლევანდელი წელი დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის თუ მომავალმა არ დაგვავიწყა, უიმისოდაც გაჭირვებულებს, ათას ნაირი გადასახადებიდან ტყავ გამძვრალს თითქო ბუნებაც გაგვირისხდა და იერიში მოაქვს ჩვენზე. ამოდენა თოვლის მოსვლა არავის ახსოვს რომელმაც ძრიელ დაზიანა საამისოთ მოუმზადებელი ჩვენი სოფელი. ბევრ ალაგას სახლები დაზიანა თოვლმა მაგრამ ეხლა არც წყლის გადიდება აკლებს ხელს. ბევრი ოჯახი გაძორეკა გარეთ ამ სუსხიანი ცივ ზამთარში რომელმაც საგრძნობელი დაღი დაასვა უმეტესათ ღარიბებს. სრულიად მოუმზადებელი ხალხი უშეშობის გამო ნამყოფიან ხეხილებს სჭრიან და ისე იბრუნებენ სულს სიცივისაგან ძალა მიხთილები. კაცი პატრონი არავინაა ჩვენი შემბრალე გადასახადი გადასახადს ემატება დღე-დღეზე. საზოგადოებას ვექილები ყავს რომლის მოვალეობას შეადგენს ყოველ გვარი საჭირბოროტო საზოგადო კითხვებს თვალ ყური ადევნოს, ყოველგვარი გადასახადს კბილი ვაუსინჯოს, სოფლის კანცელარიაში კონტროლი გაკეთოს, მაგრამ ამ ადამიანებმა ჯერ ჯერობით უყურადღებოთ დასტოვეს ეს ფრიად საისტორიო როლი. წელიწადზე მეტია მათი ნამოქმედარი არაფერი ვიცით. რომელშიაც ჩემის აზრით უნდა გამოიხატოს თავის თავის უარის ყოფა და მიზნის ღალატი. მეტი არაფერი აკლდა ჩვენ სოფელს და ამათაც დაარტყეს ერთი ლურსმანი ჯვარზე ცმულ ჩვენ საზოგადოებას. მოვაგონებ ბ-ნ ვექილებს რომ ისინი მთავრობის წინადადებით ყავს საზოგადოებას არჩეულნი და საზოგადოებამ მათ ნდობა გამოუცხადა და თუ არ უნდათ ეს უკანასკნელი დაკარგონ, პირნათლათ შეასრულონ ეს ფრიად საყურადღებო ღირსეული როლი.

ან—შვილი.

—

ქ. ბათუმი.—უთაობას ქართველი საზოგადოება ქუთაისს უკიჟინებდა. ეხლა ეს ბედი ბათუმსაც ეწვია. (რადგან ეს მოვლენა ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს საჭიროა ზომები). გერმანის გაზეთმა სალაპარაკო მასალა იშოვნა. მისი სალაპარაკო საგანი სულ ჟურული და ჟურულია, მოსთქვამს და გოდებს გერმანის გაზეთი ჟურულის მოშორებას. ეძებს გამგეობის წევრს, ეძებს ქალაქის თავის მოადგილეს და ვერ უპოვნია, ასახელებს კანდიდატებს გამგეობის წევრისას მაგრამ ვერავითარი გადაჭრილი დასკვნავერ გამოყავს. არ იცის ვის ჩააბაროს ქალაქის ბედ ილბალი. კანდიდატების ანალიზს არ აქვს დასასრული. უხერხულ მდგომარეობას განიცდის გერმანის გაზეთი და ქალაქის თვითმართველობა; რადგან ქალებისთვის ანდრონიკაშვილი პეტრეს ქალაქში ბრძანდება ნახევარი კაპეიკისთვის და ორ თვეს ვერ დაბრუნდება; მისი მოადგილე ჟურული თბილისში გადაყავთ; ქალაქი უთაოთ რჩება და რა გასაკვირია, თუ პატივცემული გაზეთის მთელი გო-

ნებრივი აპარატი ამ მხრით არის მიქცეული. დღითი-დღე სცვლის კანდიდატებს, მაგრამ თავისი საკბილო ვერავინ მოუნახავს. ქალაქის გამგეობაც ამ მხრით „გენერალურ“ კრიზისს განიცდის 7 მარტიდან აქ იწყებს გამოსვლას ქართული კვირეული გაზეთი „ბათუმის მოამბე“ პეტრე მეფისაშვილის ხელმძღვანელობით; სიამოვნებით ვეგებებით ამ კეთილ განძრახულებას ქართული საზოგადოება და უსურვებთ, რომ ჩვენს დამყაყებულ ცხოვრებაში რაიმე ახალი შემოეტანოს.

ცნობები მოდის, რომ აჭარაში, ართიინის მხარეში—ბორჩხამდე განუწყვეტლივ სთოვს. 26 და 27 თებერვალს ბათუმშიც დაიწყო თოვნა. თვალსაჩინო სიცივეები დაიჭირა. მოსალოდნელია კიდევ დიდი ზამთარი. ბარცხანაში გახშირდა ჩხრეკა-დაპატიმრება. აპატიმრებენ უმეტეს ნაწილათ ნოე ჟორდანიას თხზულებას „კულტურა“-ს გამოცემას.— ამა წინათ ვსწერდი, რომ ქალაქის მამებმა თაგვთა მჭირავი რაზმი შეამცირაო, ამით გათამამებულმა თაგვებმა ამ დღეებში უღლის კამეჩი დაუჭამეს ქვრივს ნოდიასას. (ეს ნამდვილი ამბავია).

„ახკანელი“.

—

ს. ნიკორწმინდა (რაჭის მაზრა). შესანიშნავია თავისი მდებარეობით. მთა გორიანი ადგილები, შესანიშნავ ნაძვნარის ტყეებით, ვაკეები, მდინარეები, რაღაც ერთათ შეკავშირებულ, ლამაზათ მორთულ ბუნების ფრთებს წარმოადგენენ. ასეთ მდებარეობასთან, კარგი ჰავაც, თავდებია იმისი რომ ნიკორწმინდის საზოგადოება კარგ საგარაკო ადგილს წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავთ, რომ აქაურ მთებში, ბუნებრივი სიმდიდრეც მოიპოვება ბევრგან. მიდამო „ხარისთვალადან“ დაყოლებით, ვიდრე ველევ შხივანამდე, ოცი ვერსის მანძილზე, ბლომათ იპოვება ეგრეთ წოდებული „ლიტოგრაფიის“ ქვა. ამას დიდი ყურადღება მიაქციეს ინჟენერებმა და ბევრგანაც შეისყიდეს მადნები. მადნებიანი ადგილები უმეტესათ გლეხებს ეკუთვნის. ბ-ნ ინჟინერმა ბევრი მოიგვეს ამ გარემოებით. გლეხებმა არ იციან თავის მადნების ფასი. მყიდველები 500 მ. იძლევიან ქცევა მადანში, ანუ 5 მან. კუბიკურ საჟენში—ერთ ქცევა მადანში კი—700 კუბიკური საჟენი ქვა ამოდის. მაშასადამე—ქცევა მადანში მყიდველი 3500 მ. იღებს, მაშინ, როცა ქცევაში 500 მ. იძლევა. ამ ანგარიშს ვერ უკვირდებიან გლეხები და ბევრმა პირობაც შეუკრა კაპიტალისტებს მადანი აღნიშნულ ფასებში მიეცათ. ასეთია ჯერჯერობით ნიკორწმინდის მადნებთა წარმოების მდგომარეობა. კარგია ერთის მხრით რომ ნიკორწმინდის მადნებში წარმოება გაჩაღდება, მაგრამ გლეხების მხრივ, დაკვირვებაცაა საჭირო თავიანთ ქონების ნემსის ფასათ არ ყიდდენ კაპიტალისტების გასამდიდრებლათ.

ნიკორწმინდის სამოქალაქო სასწავლებლის განაჩენი მთავრობის მიერ დამტკიცებულია და ახლო მომავალში შენობასაც ააგებენ სასწავლებლისათვის.

მოხული.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა

„ᲨᲠᲝᲛᲐ“

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს: წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე.

საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად.

ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ძლიერ დაკლებულ ფასებში

ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ:

1) „ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“ 1908 წლისა (35 ნომერი ერთად შეკერილი)—1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში—1 მან. 75 კ.; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიემატება—50 კ.

2) „ᲛᲐᲗᲠᲐᲮ-ᲡᲐᲚᲐᲛᲣᲠᲘ“ 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი—იმავე ფასებში, როგორც პირველი.

3) „ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“ 1907 წლისა (13 ნომერი ერთათ შეკერილი)—1 მ.; გაგზავნით 1—20.

4) „ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮᲘᲔᲑᲘ“ 1909 წელში გამოცემული: „ᲐᲙᲐᲙᲘ“, „ᲔᲨᲛᲐᲙᲘ“, „ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘ“, „ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“ და „ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲘ“. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკერილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან—ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „ᲨᲠᲝᲛᲐ“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.